საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

შპს „ნახიდური ჰესი“ (ს/კ 400207049) ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორიის ფარგლებში გეგმავს დღეღამური რეგულირების 7,5 მგვტ სიმძლავრის „ნახიდურიჰეს“-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით გაცემულია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (2020 წლის 25 აგვისტოს N 2-758).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ჰესის დეტალური პროექტირებისას მცირედით შეიცვალა მილსადენის ღერძი, გამოიკვეთა სათავე ნაგებობის ფარგლებში დამატებით 7 (შვიდი) მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის საჭიროება და დაზუსტდა მილსადენის დიამეტრი, რაც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად განიხილება, როგორც ჰესის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის პირობების ცვლილება და მიიჩნევა სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- „ნახიდურიჰეს“-ის მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკინინგის ანგარიში;
- საპროექტო ტერიტორიის Shp ფაილები;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

პატივისცემით,

თენგიზ ალავიძე
შპს „ნახიდური ჰეს“-ის დირექტორი

29.06.2021წ.

შპს "ნახიდური ჰესი" * GEORGIA. "NAKHIDURI HPP" LLC * 400207049

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 11444
"29" 06 20 21
1